**სსიპ საქართველოს**
**კინემატოგრაფიის ეროვნული**
**ცენტრის დირექტორი**

14 მაისი 2024

N 117

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების წარმოების დაფინანსება“ - გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ**

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებისა და სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 14 მაისის №1-213 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით,

**ვბრძანებ:**

**1.** 2024 წლის 14 მაისს, გამოცხადდეს კონკურსი „სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების წარმოების დაფინანსება“ და დამტკიცდეს საკონკურსო პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

**2.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •